ჩვენ გვეუბნებიან, გუშინდელი გადაწყვეტილების გაუმჯობესება შესაძლებელი იყოო. ჩვენ კიდევაც ვცდილობდით გაგვეუმჯობესებინა ავი იმით, რომ ჩვენი საკუთარი რეზოლუცია წარმოვადგინეთ, მაგრამ ეს რეზოლუცია არ მიიღეს. თქვენ გსურთ, რომ ჩვენ გამოვაკეთოთ თქვენი ცუდი რეზოლუცია, ჩვენ კი გეუბნებით: გაისარჯეთ და თვითონვე გამოაკეთეთ იგი. ჩვენ დავიცდით, შესძლებთ თუ ვერა ამ პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას. ვფიქრობ, თქვენ მაინც ვერ შესძლებთ ამ ოპერაციის გაკეთებას. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ არ ვაპირებთ მონაწილეობა მივიღოთ ამ პლასტიკურ ოპერაციაში როგორც მოდურმა პარიზელმა ქირურგებმა.

უაზრობაა იმის მტკიცება, რომ საბჭოთა დელეგაცია თანამშრომლობის წინააღმდეგ გამოდის. საბჭოთა დელეგაცია საერთაშორისო თანამშრომლობის მომხრეა, მაგრამ მხოლოდ ისეთი თანამშრომლობისა, რომელიც ეყრდნობა სახელმწიფოთა შორის ურთიერთპატივისცემისა და შეთანხმების ნამდვილ გონივრულ საფუძველს. ჩვენ გვსურს, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა შენდებოდეს ურთიერთგაგების, ინტერესთა, აზრთა, რწმენათა ურთიერთპატივისცემის საფუძვლებზე, მაგრამ, როცა გვეუბნებიან: კეთილინებეთ ითანამშრომლოთ ჩვენთან თქვენთვის ნაკარნახევი პროექტის საფუძველზე, რომელსაც თავი წინასწარვე მოკვეთილი აქვს, ჩვენ განცვიფრება გვიპყრობს. უნებურად იბადება კითხვა: რა ხდება აქ? სადა ვართ? სად მოვხვდით?

გუშინ მიღებულ იქნა ამერიკის რეზოლუციის ნაწილი, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო, რომელიც არამარტო მოკლებულია თავს და იმას, რაც თავში ჩვეულებრივად არის ხოლმე, არამედ ბოლოც კი არ მოეპოვება. ყოველივე ეს მოკვეთილ იქნა. ჩვენ შემოგვთავაზეს რეზოლუცია, რომელიც წინასწარ გამოშიგნული იყო. და ახლა ამას გვთავაზობენ, როგორც თანამშრომლობის წესით საკითხის გადაწყვეტის მაგალითს. ჭეშმარიტად, ჩვენ სხვადასხვანაირად გვესმის,—თუ რა არის თანამშრომლობა და რა არის დიქტატი და მბრძანებლობა.

საბჭოთა დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია გაიმეოროს ის, რაც აქ უკვე არაერთხელ განუცხადებია: ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ არც იუგოსლავიის, არც ალბანეთის და არც ბულგარეთის ბრალი არ მიუძღვით რაიმე სასაზღვრო ინციდენტში. ჩვენ აქ მოვიყვანეთ ციტატები უშიშროების საბჭოს კომისიის დასკვნებიდან, იმ კომისიისა, რომელსაც აქ ესოდენ ხშირად იმოწმებენ: ამ დასკვნებშიაც კი აღნიშნულია, რომ არ ყოფილა წარმოდგენილი სასაზღვრო ინციდენტებში საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების დამნაშავეობის დამაჯერებელი საბუთები. კომისიის მასალებში სწერია, რომ 198 სასაზღვრო ინციდენტიდან, რომელთა შესახებ განაცხადა საბერძნეთის მთავრობამ, მხოლოდ 12 ინციდენტი იყო დაკავშირებული, თვით საბერძნეთის მთავრობის მტკიცებით, საზღვრის ხაზზე ბერძენ პარტიზანთა გადასვლასთან.

ჩვენ არ გვჯერა ამ კომისიისა, მაგრამ გვსურს დაგიჯეროთ თქვენ, რომ შესაძლოდ მიგაჩნიათ გჯეროდეთ მისი. ამ შემთხვევაში კომისიის მოხსენებიდან ჩემ მიერ მოყვანილი ეს ფაქტებიც უნდა დაიჯეროთ. შეიძლება რაიმე მიიღოთ ხმის უმეტესობით, შეიძლება წესრიგისაკენ მოგვიწოდოთ, დასასრულ, შეიძლება რაიმე სხვა ზომაც მიიღოთ, რომელიც თქვენი უმეტესობის შესაფერი იქნება. მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია. ფაქტმა არც კედელი იცის, არც ფანჯარა, არც კარი. ფაქტი მთელ მსოფლიოს მოეფინება, და თქვენ პასუხი უნდა აგოთ თქვენი ხალხების წინაშე ყოველივე იმისათვის, რაც აქ ხდება.

თუ ფაქტებს მსხვერპლად სწირავენ პოლიტიკურ ტენდენციებს, თუ არასასურველ ფაქტებს აშკარად არ ამჩნევენ, ნება გვიბოძეთ გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება ამ პოლიტიკური ტენდენციებისადმი და ყოველივე იმისადმი, რაც ამ ტენდენციებიდან გამომდინარეობს.

მე უნდა შევჩერდე საფრანგეთის დელეგატის გამოსვლაზე. მან სადავოდ გახადა ჩემი მტკიცება, რომ საფრანგეთის შესწორება არაფრით არ განსხვავდება რეზოლუციის ამერიკული პროექტისაგან. ნამდვილად ვითარება სწორედ ასეთია. რით განსხვავდება საფრანგეთის შესწორება ამერიკული პროექტისაგან? შეიძლება მხოლოდ იმით, რომ რეზოლუციის ამერიკული პროექტი უფრო პირდაპირია, უფრო გულახდილია. საფრანგეთის შესწორება იმავე ლაპარაკობს, რასაც ამერიკული პროექტი, თუმცა ამას მაჩქმალულად, შენიღბულად ამბობს. არსებითად, თუ აიღებთ საფრანგეთის შესწორებას და შეადარებთ მას ამერიკული პროექტის შესაბამის პუნქტებს, ძლიერი მიკროსკოპითაც კი ვერ იპოვით რაიმე განსხვავებას.

რეზოლუციის ამერიკული პროექტის შესაბამისი პუნქტი შეიცავს მოწოდებას ალბანეთის, ბულგარეთისა და იუგოსლავიისადმი „შესწყვიტონ ყოველგვარი შემდგომი დახმარება ან მხარდაჭერა". თუ ჩამოთვლილ ქვეყნებს მიმართეს მოწოდებით, შესწყვიტეთ დახმარების გაწევაო, მაშასადამე, ასეთი დახმარების გაწევა ამჟამად ხდება. აი რას მოწმობს ამერიკის რეზოლუციის შესაბამისი პუნქტი. ახლა, რას ამბობს საფრანგეთის შესწორება? იგი წინადადებას იძლევა შეიცვალოს ამერიკული პროექტის შესაბამისი პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„რამდენადაც უშიშროების საბჭოს მიერ გაგზავნილმა გამომკვლევმა კომისიამ ხმის უმრავლესობით დაადგინა, რომ ბულგარეთი, ალბანეთი და იუგოსლავია დახმარებას უწევენ საბერძნეთის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ პარტიზანებს,—ალბანეთს, იუგოსლავიასა და ბულგარეთს მოუწოდებენ ისეთი არაფერი გააკეთონ, რაც შეიძლება ხსენებული პარტიზანებისადმი დახმარების გაწევად ჩაითვალოს".

რა განსხვავებაა? ამ ორ ფორმულირებას შორის არავითარი განსხვავება არ არის. ამერიკულ რეზოლუციასთან შედარებით საფრანგეთის შესწორებას სავსებით შეეფერება რუსული ანდაზა: იგივე სუპია, მხოლოდ უფრო წყალწყალაო.

ყოველივე ის, რაც ამ კომისიაში ხდება, მოწმობს მუშაობის არანორმალურ პირობებს. ჯერ კიდევ გუშინ ბრიტანეთის დელეგატმა მაკნეილმა წინადადება შემოიტანა შერბილდეს რეზოლუციის ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ბრალდებებს იუგოსლავიის, ალბანეთისა და ბულგარეთის წინააღმდეგ, დღეს მაკნეილმა უკვე სხვა პროექტი გაავრცელა, რომლითაც აქარწყლებს თავის გუშინდელ წინადადებას. ასე იცვლება სახე ერთი დღე-ღამის განმავლობაში ბრიტანეთის დელეგაციის წინადადებებმა. ის, რაც გუშინ ოფიციალურად წარმოადგინეს, დღეს ერთი ხელის მოსმით უქმდება. განა ეს ნორმალურია? განა ასე შეიძლება მუშაობა, თუ ყოველ ხუთ წუთში ერთმანეთის საწინააღმდეგო რეზოლუციებს წარმოგვიდგენენ?

დასასრულ მაკნეილის ახალი რეზოლუცია სხვა არა არის რა, თუ არ ამერიკის შეერთებული შტატების რეზოლუციის საბრალდებო ნაწილის შინაარსის გამეორება. მაშ რამ გამოიწვია იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთისათვის საქმის ასეთი გაუარესება? ნუთუ ეს არის „თანამშრომლობის" მაგალითი? საბჭოთა დელეგაცია ერთხელ კიდევ იმეორებს, რომ არ შეუძლია დაეთანხმოს აქ გამოყენებულ მეთოდებს და იბრძოლებს ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ძირს უთხრის წესდებასა და მის პრინციპებს.

შემდგომი განხილვის მსვლელობაში პანამის დელეგატმა დააყენა სხდომის შეწყვეტის საკითხი. პანამის წარმომადგენელმა განაცხადა, კოლუმბიის დელეგაციის წინადადებას ვემხრობით, და სთქვა:—ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება, რომელიც ბალკანეთში მშვიდობის გარანტია იქნება. ამჟამად შექმნილ დაძაბულ ატმოსფეროში ასეთი გადაწყვეტილების მიღება ძნელია, ამიტომ საკითხის გადაწყვეტა უნდა გადაიდოს, რათა გამოინახოს ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა შერიგების საშუალება.

ამ წინადადებას კუბის დელეგატმაც დაუჭირა მხარი. მაგრამ ასეთი წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისის დელეგატი მაკნეილი, რომელიც მანამდე სულ სდუმდა. მან გულახდილად განაცხადა:

— ჩვენ სახელს გავიტეხთ, თუ დღევანდელ სხდომას ისე დავხურეთ, რომ არ გადავწყვიტეთ ბალკანეთის კომისიის შემადგენლობის საკითხი. ეს საკითხი აუცილებლად დღეს უნდა გადაწყდეს.

პანამის დელეგაციის წინადადება უარყოფილ იქნა ხმის შედარებით მცირე რიცხვით: ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცა 25 დელეგაციამ, მას მხარი დაუჭირა 13 დელეგაციამ და 12 დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ამის შემდეგ გამოსულმა სპააკმა და ამერიკის დელეგატმა ჯონსონმა მოითხოვეს, რომ კომიტეტს გადაეწყვიტა „ბალკანეთის კომისიის" შემადგენლობის საკითხი. ჯონსონმა განაცხადა, რომ, რადგან საბჭოთა კავშირი უარს ამბობს კომისიაში მონაწილეობაზე, მისი წინადადება კომისიაში უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის შეყვანის შესახებ იხსნება. მაგრამ მან იქვე დასძინა, არ მესმის, თუ კომისიაში რატომ არ უნდა იქნას შეყვანილი უშიშროების საბჭოს ერთი—ორი, სამი ან ოთხი მუდმივი წევრიო.

აშკარა იყო, რომ ჯონსონი ამით თავისთავს და თანამოაზრეებს გზას უკაფავდა შემდგომი ხრიკებისათვის კომისიის შედგენის დროს, რათა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის შეენარჩუნებინა ამ კომისიაში ამერიკელ მესვეურთა სასურველი გავლენა.

ხვალ კომიტეტი განაგრძობს საბერძნეთის საკითხზე შეტანილ რეზოლუციის პროექტთა განხილვას.

დიქტატის პოლიტიკა განწირულია ჩასაფუშავად

გენერალური ასამბლეის დელეგატთა ნახევარმა უარი სთქვა მხარი დაუჭიროს საბერძნეთის ჩრდილოეთელი მეზობლების წინააღმდეგ ამერიკის ბრალდებებს

ნიუ-იორკი, 10 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). მესამე დღეა, რაც გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდება განხილვა რეზოლუციის პროექტებისა საბერძნეთის საკითხზე. განხილვა იმთავითვე მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობს. ამერიკის დელეგაცია, რომელიც ჯიუტად მოქმედებს და არღვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებსა და წესებს, ცდილობს ბალკანეთისათვის შექმნას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ამერიკულმა პრესამ ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მიბაძვით „სადარაჯო ქოფაკი" უწოდა. ამერიკის ექსპანსიონისტებს განზრახვა აქვთ ამ „სადარაჯო ქოფაკის" დახმარებით შეაღწიონ ბალკანეთის ქვეყნებში და შეეცადონ იქ პარპაში.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის დელეგაციას არ უხერხდება იმ შედეგების მიღწევა, რომელთა იმედიც ჰქონდა. თუ პირველ დღეს მან უხეში ზეგავლენის დახმარებით შესძლო გაეტარებინა თავისი რეზოლუციის მთელი რიგი პუნქტები, მათ შორის პუნქტიც, რომელიც ითვალისწინებს ბალკანეთის კომისიის შექმნას, გუშინ და დღეს კომიტეტში შესამჩნევად გაძლიერდა დიქტატის ამ პოლიტიკისადმი წინააღმდეგობა. ბევრ დელეგატზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სსრ კავშირის დელეგაციის განცხადებამ, რომელმაც უარი სთქვა ბალკანეთის კომისიის მუშაობაში მონაწილეობაზე, რამდენადაც გუშინწინ ამერიკის კარნახით კომიტეტის უმრავლესობის მიერ ჩამოყალიბებული ამ კომისიის ამოცანები და ფუნქციები მკვეთრად ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს. დელეგატთა სულ უფრო მეტი რაოდენობა უკმაყოფილებას გამოსთქვამს ამერიკის დიქტატის პოლიტიკის გამო და მხარს უჭერს სსრ კავშირის დელეგაციისა და მთელი რიგი სხვა დელეგაციების პროტესტებს.

ამერიკული გაზეთები დღეს იძულებული არიან აშკარად აღიარონ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა ცდა საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპების უგულებელყოფით მიეღწია სასურველი გადაწყვეტილებისათვის, კრახი განიცადა. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" დღეს მოწინავე სტატიაში სწერს: „ამერიკის ცდა უშიშროების საბჭოში გვერდი აევლო „ვეტოსათვის" გამარჯვებით დამთავრდა, ძირითადად, ქაღალდზე. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელთა ის წანამძღვარი, რომ ორგანიზაციას არ შეუძლია ეფექტიანად იმოქმედოს, თუ დიდ სახელმწიფოთა შორის ერთსულოვნება არ იქნა, სავსებით გამართლდა... სისულელე იქნებოდა გადაჭარბებით შეგვეფასებინა ამგვარი „გამარჯვების" მნიშვნელობა ან გვეფიქრა, რომ შეიძლება ვაიძულოთ რაიმე საბჭოთა კავშირს უბრალოდ იმიტომ, რომ მას „ვეტოს" უფლება არა აქვს ასამბლეაში".

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის XXIII პარტიული კონფერენცია

10-11 ოქტომბერს შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა რაიკომის მდივნის ამხ. თ. ქელიძის და სარევიზიო კომისიის თავ...

147 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც პარტიის 4.543 წევრსა და პარტიის წევრობის 931 კანდიდატს აერთიანებს.

...ლებელთა და სტუდენტთა შორის პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების დარგში.

...ებულია 1.988 ამხანაგი, გაიზარდა ...ველად პარტიულ ორგანიზაციათა რიცხვიც. თუ 1942 წელს რაიონში ... პირველადი პარტიული ორგანიზაცია იყო, რომელიც პარტიის 1.487 წევრსა და პარტიის წევრობის 421 კანდიდატს აერთიანებდა, ამჟამად არის

ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ამხ. გ. ჩაგელიშვილმა კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარა ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება პროფესორ-მასწავ...

გორის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ჩვენი ქალაქების აღდგენასა და კეთილმოწყობას. პარტიისა და მთავრობის დადგენილების თანახმად ამ მხრივ დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქალაქ გორის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობისათვის, რაც ომის ...

...რაც მეტად გაალამაზებს ბერიას სახელობის ქუჩის ერთ ნაწილს.

მთავრდება და მალე გადაეცემულ იქნება საექსპლოატაციოდ ორი საბავშვო ბაღის შენობა. დაჩქარებით წესით მიმდინარეობს ქალაქის სახელმწიფო თეატრის ეზოს შემოკავება. ჭავჭავაძის ქუჩის მხრიდან უკვე ...

...ლი ჩვენს მშენებლობას. ... მიმდინარეობს ... შავება და დამზადება. ეს ქვა თავისი ხარისხით საუკეთესო საშენ მასალას წარმოადგენს და მას ფართოდ ვიყენებთ თითქმის ყველა ობიექტზე.

საგრძნობლად გაიზარდა ავტოპარკი და მისი სამუშაო მასშტაბი. ...

...პექტის სახით ქალაქს შეემატება თავისი გაფორმებით ერთ-ერთი ულამაზესი მაგისტრალი.

სწრაფი ტემპებით მიმდინარეობს რაიონული საავადმყოფოს მშენებლობა. უკვე დაიწყო კედლების ამოყვანა. მშენებლობა უზრუნველყოფილია ყველა საჭირო მასალით. სწარმოებს სხვადასხვა ცალკეული დეტალების დამზადება ტრესტთან არსებულ სარემონტო-მექანიკურ ქარხანაში. ამ ბოლო ხანებში მოგვარდა ადგილობრივი მასალებით სამშენებლო ობიექტების მომარაგების საკითხი. მოვაწყვეთ გაჯის გამოწვა, რითაც უზრუნველვყოფთ ყვე...

...ერთ-ერთ ძირითად პუნქტს წარმოადგენს მეოთხე სტალინური ხუთწლედის მეორე წლის საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულების საკითხი. ამ საპატიო საქმის განსახორციელებლად აუცილებელია ყველა იმ ორგანიზაციების მჭიდრო კავშირი, რომლებიც მონაწილეობენ გორის მშენებლობაში. მონდომებული შრომით პარტიისა და მთავრობის დავალებას—გორის რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობას — პირნათლად შევასრულებთ.

ი. მეტრეველი

ტრესტ „საქმშენის“ გორის სამშენებლო კანტორის უფროსი-ინჟინერი

თელავის რაიონი ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადებას შეუდგა

რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმოებში იმართება ლექციები თი...

ამავე დროს აგიტპუნქტის ხელმძღვანელიც არის. ბიბლიოთეკამ ...

...ტორები გ. აზნიაშვილი, თ. გძელიშვილი და ა. ზაალიშვილი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია წინანდლის სასოფლო ბიბლიოთეკის მზადება საარჩევნო კამპანიისათვის. ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ლუარსაბოვი ...

...შრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებს.

მ. ვარდოსანიძე

ნ. კალანდაძე

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები

მეღვინეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანები

...ომისშემდგომ პერიოდში სოფლის ...რნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილებამ ...ი ამოცანები დაგვისახა მევენახეობისა და მეღვინეობის ახალი მძლავრი ...ვლობისათვის. საბჭოთა მეურნეობის მუშაობა და სპეციალისტები ...

...რულებლად საჭიროა მთელი მოსავლის უდანაკარგოდ აღება, მოსავლის გულმოდგინედ დაცვა. ენერგიულად უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ პროდუქციის ხარისხი არ გაუარესდეს.

ბევრგან რთველი და ყურძნის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. 5 ოქტომბრისათვის წითელწყაროს ...

...ღვინის ქარხანაში აღდგენილია ყურძნის გადამუშავება. ქარხანა უზრუნველყოფილია საჭირო მოწყობილობით, ინვენტარითა და ტარით. ყურძნის მიღება და მაღალხარისხოვანი მასალის დაყენება დაწყებულია.

მეღვინეობის ახლანდელ სეზონში საბჭოთა მამულების ტრესტისა და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით სულ ცოტა 1.420 ათასი დეკალიტრი საღვინე მასალა უნდა დამზადდეს, ნაცვლად ...

...ქარხანა აშენდება ავჭალაში. ავჭალის კონიაკის ახალი ქარხნის ამუშავებით შეიქმნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის და საკონიაკო საქმის მოთხოვნების მიხედვით მოწყობილი წარმოება ყვარლის, ბოლნისის, ვარციხისა და სხვა რაიონებში, რომლებიც კარგი ხარისხის ნედლეულს იძლევიან, გაფართოვდება საკონიაკე სპირტის გამოხდა. ამ მიზნისათვის მოხდება არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია და აშენდება საკონიაკე სპირტის სახდელი ახალი ქარხნები.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ყოველდღიური საწარმოო წარმატებებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის XXX წლისთავს. საქართველოს საბჭოთა მამულების ტრესტის საწარმოები იბრძვიან იმისათვის, რომ მოწინავე საწარმოთა რიგებში ყოფნის ღირსი გახდნენ. რვა თვეში ტრესტის საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა ...

...ყველა უბანზე, უდანაკარგოდ ავიღოთ და გადავამუშაოთ მოსავალი, მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ ყურძნის დამზადებისა და ღვინის პროდუქციის გამოშვების გეგმები, მივცეთ სამშობლოს მეტი, უკეთესი ხარისხის ღვინო და კონიაკი.

პ. სოხაძე

საქართველოს საბჭოთა მამულების ტრესტის მმართველი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეორე სესია

(დასასრული)

გაზეთი „პმ" აბახითებს განწყობილებას ასამბლეის კულუარებში და აღნიშნავს, რომ „როგორც ჩანს, სინანულის გრძნობა ოთხშაბათს გამოხენილი ამერიკის გამო ყოველ გამოსულს აიძულებს კვლავ და კვლავ დაბრუნდეს უკან, ამერიკის ნაჩქარევად მიღებული რეზოლუციისაკენ". გაზეთი ხაზგასმით აღნიშ- ...

... ლობაზე... „კარი ღია დარჩეს". ამ წინადადებას უმალვე დაუჭირა მხარი ჯონსონმა, რომელმაც მას „ძალიან საინტერესო" წინადადება უწოდა.

— ვწუხვართ, რომ საბჭოთა კავშირი დღემდე არ მიემხრო ჩვენს თვალსაზრისს, — სთქვა მან. — ჩვენ წინადადებას ვიძლეოდით კომისიის შემადგენლობაში შესულიყო აგრეთვე პოლონეთი, მაგრამ მისმა წარმომადგენლებმაც ...

... გამო პოლონეთის დელეგატმა გააკეთა შემდეგი განცხადება და სახეში ჰქონდა პოლონეთი:

„მე მსურს განვაცხადო, რომ ერთ-ერთი ქვეყანა, რომელიც ამ კომისიის წევრი იქნება, მოწვეულია პასუხი აგოს უშიშროების საბჭოში, სადაც მას წესდების მე-7 თავის შესაბამისად ბრალად ედება მშვიდობისა და უშიშროების დარღვევა ინდონეზიაში".

შემდეგ კომიტეტი გადავიდა ამერიკის რეზო- ...

გოტვალდის გამოსვლა

პრაღა, 11 ოქტომბერი. (საკდესა). გუშინ სახელმწიფო საგეგმო უწყების სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა გოტვალდმა შეაჯამა ორწლიანი გეგმის მიმდინარე წლის 9 თვის წინასწარი შედეგები და ჩამოაყალიბა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტი 1949-1953 წლებისათვის.

გასულ 9 თვეში, სთქვა გოტვალდმა, სამრეწველო წარმოების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 100 პროცენტით. ჩვენ მივუახლოვდით ორწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანების შესრულებას, ე. ი. ჩვენი ეკონომიკის ომამდელი დონის მიღწევას. სამრეწველო წარმოების დონე, რომელიც ორწლიანი გეგმის დასაწყისში 1937 წლის ომამდელი დონის დაახლოებით 85 პროცენტს შეადგენდა, ამჟამად ამ დონის 95-100 პროცენტს შეადგენს.

მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა მრეწველობაში, 1937 წელთან შედარებით, ამ- ...

... ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი მრეწველობის გარდაქმნის პირობით. მეტალურგიული მრეწველობის პროდუქცია, 1948 წელთან შედარებით, უნდა გადიდდეს 80 პროცენტით, მძიმე მანქანათმშენებლობის წარმოება — 200 პროცენტით.

გეგმიანი მეურნეობა, — განაგრძო გოტვალდმა, — შესძლებს და კიდევაც უნდა უზრუნველყოს ეკონომიური განვითარების ისეთი სწრაფი ზრდა, რომელიც წინათ მხოლოდ ეალრესად ხელსაყრელი კონიუნქტურის დროს არსებობდა. წინასწარ გამოანგარიშებათა საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ეროვნული შემოსავლის გადიდება ხუთი წლის განმავლობაში დავგეგმოთ 40-50 პროცენტით და სამრეწველო წარმოების ზრდა — 50 და მეტი პროცენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავალი 1 კაცზე (უცვლელი ფასებით გამოხატული), 1937 წელთან შედარებით, ერთი-ორად გადიდდება. ...

... ბი, რომელთა განვითარებისთვისაც ჩეხოსლოვაკიას განსაკუთრებით ხელსაყრელი წანამძღვრები და პერსპექტივა გააჩნია. პირველ რიგში ეს არის მეტალურგია, მძიმე მანქანათმშენებლობა და ქიმიური მრეწველობა.

ჩვენმა პირველმა ხუთწლიანმა გეგმამ ხალხის საარსებო დონე, ომამდელ დონესთან შედარებით, 60 პროცენტით უნდა აამაღლოს — ...

—მთელი ინვესტიციების მეოთხედი ასიგნებულ უნდა იქნას სოციალური და კულტურული მიზნებისათვის. ხუთწლიან გეგმაში საჭიროა გათვალისწინებულ იქნას 200 ათასი ახალი ბინის და 2 ათასი დიდი საზოგადოებრივი შენობის აგება. მკვეთრად უნდა გადიდდეს ფართო მოხმარების საქონლის ნორმა.

რუმინული პრესა რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესის გადაწყვეტილების შესახებ

ბუქარესტი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „სკინტეია" ეხება რუმინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კონგრესის გადაწყვეტილებას და სწერს: „კონგრესმა ცხადჰყო, თუ რამდენ ძლიერი და ერთსულოვანია რუმინეთის სოციალ-დემოკრატი მუშებისა და ყველა პატიოსანი სოციალ-დემოკრატის მისწრაფება კომპარტიასთან ერთად გაერთიანდნენ მუშათა კლასის ერთიან პარტიაში. ეს მიმდინარეობა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისმა მოწინააღმდეგეებმა ხმა ვერ დასძრეს კონგრესზე, რადგან იცოდნენ, რომ ეს გამოიწვევდა მათი სახელის საბოლოოდ გატეხას მუშათა კლასის თვალში".

„მუშათა კლასის პოლიტიკური ერთიანობის განხორციელება, — განაგრძობს გაზეთი, — გამოიწვევს რუმინეთის ყველა დემოკრატიულ პატრიოტულ ძალთა უფრო მჭიდროდ დარაზმვას მათს ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და დემოკრატიის დაცვისა და განმტკიცებისათვის". კონგრესმა, — სწერს გაზეთი „ლიბერტატეა", — ერთიანობის ნიშნით ჩაიარა. კონგრესის ყველა სხდომაზე სუფევდა მუშათა ერთიანობის საჭიროების შეგნება და მისწრაფება რაც შეიძლება მალე განხორციელდეს ეს ერთიანობა. კონგრესის მიერ დაკავებული პოზიცია მოწმობს, რომ რუმინეთის სოციალ-დემოკრატიის მიერ განვლილი გზა უნაყოფო როდი აღმოჩნდა, რომ პარტიამ შეითვისა წარსულის გაკვეთილები, რომ რუმინეთის მუშათა კლასის ერთობლივმა ბრძოლამ შექმნა ატმოსფერო რუმინეთის მუშათა კლასის სრული პოლიტიკური, ორგანიზაციული და იდეოლოგიური ერთიანობის განსახორციელებლად".

ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის საბოლოო სხდომა

ვენა, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ შესდგა ავსტრიის ხელშეკრულების საკითხთა კომისიის საბოლოო, 85-ე სხდომა. სხდომაზე ... ყველა დელეგატმა დაამტკიცა და ხელი მოაწერა კომისიის მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსათვის წარსადგენ მოხსენებას.

„ცდკა" — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში

... ფეხბურთში ადგილობრივ „ტრაქტორთან". მეორე წრეში „ცდკას" გუნდმა ზედიზედ მოიპოვა 10 გამარჯვება და პირველობის სერიოზული კონკურენტი გაუხდა მოსკოვის „დინამოს" გუნდს, რომელმაც გათამაშება დაამთავრა 40 ქულით. თბილისის „დინამოს" გუნდთან „ცდკას" მიერ ფრედ დამთავრებულმა მატჩმა (2:2) საეჭვო გახადა, რომ იგი შესძლებდა პირველობის მოპოვებას. „ტრაქტორთან" მას უნდა მიეგო ანგარიშით ... ბული ბურთების შეფარდება უკეთესი ჰქონოდა, ვიდრე მოსკოვის „დინამოს".

ეს ძნელი ამოცანა არმიელმა ფეხბურთელებმა ბრწყინვალედ შეასრულეს—მათ „ტრაქტორთან" მატჩი მოიგეს ანგარიშით 5:0 და კვლავ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის 1947 წლის ჩემპიონის სახელწოდება. ისევე როგორც შარშან, მეორე ადგილზეა მოსკოვის „დინამო" და მესამეზე—თბილისის „დინამო" („ტორპედოსთან" თამაშის შედეგი გავლენას ველარ მოახდენს თბილისელთა ადგილზე).

სემინარი

14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, კიცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტი სადგურ ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის აწყობს სემინარის შესავალ ლექციას თემაზე: „ი. ბ. სტალინის ბაქოში მოღვაწეობის პერიოდი".

ლექციას წაიკითხავს ამხ. კალაძე.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე. პირველი კურსის მსმენელებისათვის მე-8 საშუალო სკოლის შენობაში (ლენინის ქ. № 53), მეორე კურსის მსმენელებისათვის — კიცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41).

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

14 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრის პროპაგანდისტებისათვის შესდგება სემინარი თემაზე: „ლენინის ნაშრომი „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში". სემინარს უხელმძღვანელებენ ამხ. ბიწაძე და პროფესორი ახატიანი.

14 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შესდგება დოცენტ ნ. ქადეიშვილის კონსულტაცია სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის პარტკაბინეტში (შაუმიანის ქ. № 1) შესდგება ამხ. შ. მესხიას ლექცია თემაზე: „საქართველოს კულტურული ვითარება XI-XII საუკუნეებში".

საბჭოთა მოქალაქეების მდგომარეობა ბელგიაში

ბრიუსელი, 10 ოქტომბერი. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა პრესამ გამოააშკარავა ბელგიის ხელისუფალთა არაკანონიერი მოქმედება სსრ კავშირის იმ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც გერმანიის ოკუპაციის ინგლის-ამერიკის ზონაში „შეგროვებული არიან" ბელგიაში სამუშაოდ, ბელგიის ხელისუფლები ახალ ცბიერ ცდას მიმართავენ, რათა როგორმე გაიმართლონ თავი საზოგადოებრიობის წინაშე. ...

თეატრებში

14 ოქტომბერს: ფალიაშვილის სახელობის — „ტოსკა"; რუსთაველის სახელობის — „ორი ბატონის მსახური"; მარჯანიშვილის სახელობის — „კაცია ადამიანი"?!. გრიბოედოვის სახელობის — „რუსეთის საკითხი"; სომხური — „ღრმა ფესვები" (გრიბოედოვის თეატრის წარმოდგენა).

მოქალაქე **რაჩიკ კარაპეტის-ძე საფაროვმა**, მცხოვრებმა ვახუშტის ქ. № 22, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **მარიამ დავითის ასულ საფაროვასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

ვალოდია და იოსებ ზედელაშვილები იუწყებიან მამის **გიგა ისაკის-ძე ზედელაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-X, 7 ს. გამოსვენება 16-X, 4½ ს. ბრძოლის, 27.

„გლავსნაბლესის" თბილისის ხე-ტყის ბაზის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან **ანა ნათელაშვილის** გარდაცვალებას.

შვილები თამარ, სიკო, გიორგი, კატო, მარო, სანდრო, მისი ოჯახებით იუწყებიან **იოსებ ივანეს-ძე მათეშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-X ს. მაღარიში.

მეუღლე თამარ, შვილები ოთარ, გივი იუწყებიან **მიხეილ ბესარიონის-ძე ვაჩნაძე...** გარდაცვალებას. პანაშვიდი 14-X, 7 ს. გამოსვენება 15-X, 4 ს. ფიროსმანის, 18.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან მ. დუდუჩავას მამის **იოსებ დუდუჩავას** გარდაცვალებას.

1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხი

(ტრამბუცაანი სავალდებულო)

მოგებათა მეათე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1947 წლის 23-24 ... ქალაქ ერევანში. 1942 წლის სახელმწიფო სამხედრო სესხის მეათე ტირაჟში მოგებანი სესხის მოგებიანი გამოშვების ყველა თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების ... ნომრებს:

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
000335	1—50	200	010947	49*)	[illegible]
000424	48*)	5000	010984	48*)	[illegible]
000449	1—50	200	011001	07*)	[illegible]
000758	21*)	1000	011079	1—50	[illegible]
001234	1—50	200	011338	49*)	[illegible]
001281	1—50	200	011385	29*)	[illegible]
001471	04*)	1000	011393	37*)	[illegible]
001632	1—50	200	011572	46*)	[illegible]
001775	24*)	1000	011585	06*)	[illegible]
001797	39*)	1000	011587	1—50	[illegible]
001809	32*)	1000	011688	09*)	[illegible]
001871	12*)	1000	012064	11*)	[illegible]
001912	1—50	500	012080	03*)	[illegible]
002222	42*)	5000	012340	1—50	[illegible]
002235	15*)	1000	012393	21*)	[illegible]
002301	1—50	500	012501	08*)	[illegible]
002452	34*)	1000	012529	1—50	[illegible]
002585	44*)	1000	012558	37*)	[illegible]
002599	43*)	1000	012573	13*)	[illegible]
002799	22*)	1000	012618	29*)	[illegible]
002842	25*)	1000	012733	30*)	[illegible]
002844	45*)	1000	012968	43*)	[illegible]
002878	27*)	1000	013168	36*)	[illegible]
002892	1—50	200	013307	1—50	[illegible]
003159	41*)	1000	013635	42*)	[illegible]
003176	1—50	200	013901	1—50	[illegible]
003204	19*)	1000	013947	04*)	[illegible]
003207	04*)	1000	013972	09*)	[illegible]
003256	1—50	200	014239	39*)	[illegible]
003457	1—50	200	014934	34*)	[illegible]
003542	1—50	500	015138	26*)	[illegible]
003574	02*)	1000	015149	42*)	[illegible]
003689	12*)	1000	015161	1—50	[illegible]
003711	19*)	1000	015281	1—50	[illegible]
003832	1—50	200	015292	20*)	[illegible]
003927	17*)	5000	015370	11*)	[illegible]
004039	49*)	1000	015409	33*)	[illegible]
004283	30*)	10000	015537	47*)	[illegible]
004591	44*)	1000	015567	14*)	[illegible]
004668	33*)	5000	015694	21*)	[illegible]
004681	1—50	200	015763	34*)	[illegible]
004698	47*)	1000	016057	1—50	[illegible]
004731	1—50	200	016198	19*)	[illegible]
004762	1—50	500	016270	1—50	[illegible]
004908	1—50	200	016271	27*)	[illegible]
004935	31*)	1000	016344	24*)	[illegible]
005190	26*)	1000	016381	15*)	[illegible]
005823	1—50	200	016393	1—50	[illegible]
005903	26*)	1000	016534	1—50	[illegible]
006007	13*)	1000	016652	1—50	[illegible]
006105	1—50	200	016713	1—50	[illegible]
006191	25*)	1000	017065	1—50	[illegible]
006224	1—50	200	017116	13*)	[illegible]
006286	37*)	1000	017420	1—50	[illegible]
006470	01*)	1000	017424	12*)	[illegible]
006599	39*)	1000	017490	10*)	[illegible]
006828	1—50	200	017544	39*)	[illegible]
007085	39*)	1000	017626	31*)	[illegible]
007445	1—50	200	017670	35*)	[illegible]
007468	1—50	500	017684	1—50	[illegible]
007599	12*)	1000	017784	1—50	[illegible]
007600	24*)	1000	017803	04*)	[illegible]
008053	37*)	1000	017885	36*)	[illegible]
008084	1—50	500	017933	19*)	[illegible]
008207	1—50	200	017963	37*)	[illegible]
008222	39*)	1000	018117	43*)	[illegible]
008442	46*)	1000	018137	49*)	[illegible]
008866	07*)	1000	018170	21*)	[illegible]
008884	1—50	200	018257	1—50	[illegible]
008897	12*)	1000	018269	1—50	[illegible]
008905	1—50	500	018503	34*)	[illegible]
009186	1—50	200	018528	1—50	[illegible]
009292	26—50	200	018593	1—50	[illegible]
009377	39*)	1000	018768	46*)	[illegible]
009524	02*)	1000	018846	37*)	[illegible]
009557	26*)	1000	018941	34*)	[illegible]
009622	02*)	1000	018985	1—50	[illegible]
009687	23*)	1000	019076	16*)	[illegible]
009819	40*)	1000	019158	35*)	[illegible]
009831	25*)	1000	019178	1—50	[illegible]
009950	04*)	5000	019321	11*)	[illegible]
010095	41*)	25000	019389	10*)	[illegible]
010294	14*)	1000	019465	44*)	[illegible]
010378	34*)	1000	019488	43*)	[illegible]
010477	1—50	500	019493	38*)	[illegible]
010668	43*)	1000	019959	05*)	[illegible]
010917	1—50	200			

*) ამ სერიის დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 200 მანეთი მოგება თითოეულზე ...

რედაქციის მისამართი თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000